სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N188

ქ. ბათუმი

06 ნოემბერი, 2018 წელი

ერთის მხრივ **შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის მარინე გვიანიძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჯი თი მოტორსი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) **წარმოდგენილი აჭარის რეგიონალური ოფისი ხელმძღვანელის ალექსანდრე კალანდაძის** სახით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „ბათუმის წყალ“-ზე რიცხული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესყიდვა თანახმად დანართი 1-სა (CPV კოდი- 50100000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1497.83 (ერთი ათას ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი1-ის თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების სრულად დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2 <u>მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.</u>

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ინსპექტირებას/შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **შ.პ.ს. ,,ბათუმის წყალი"-ს სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი მამუკა გოგიტიძე.**

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,25%-ის ოდენობით.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 4 (ოთხი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და <u>მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით</u>.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“
მის: ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. #19
ს. კ. 245556679
ს.ს. `ლიბერთი ბანკი~
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE53LB0113127202632008
ტელ: 577233240
ელ. მის: info@bats.ge;

გენერალური დირექტორი
მარინე გვიანწიძე

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი-თი მოტორსი“
იურ. მის: ქ. თბილისი,
ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. #48 ვ
ფაქტ მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.
ს. კ. 206276340
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE89BG0000000247624300
ტელ: 599954042
ელ. მის. d.korgzaia@gtgroup.ge
აჭარის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი:
ალექსანდრე კალანდაძე

(ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

ავტომანქანა FORD COURIER სახ. ნომრით BA101TS				
№	დასახელება	განზომილება	ერთეულის ფასი დღგ ჩათვლით	საერთო ფასი დღგ ჩათვლით
1	მოჭიდების ქურო და დისკი	1 ცალი	1197.81	1197.81
2	მოჭიდების ქუროს და დისკის შეცვლა	მომსახურება	300.02	300.02
	ჯამი დღგ-ს ჩათვლით			**1497.83**

,,შემსყიდველი"
შპს,,ბათუმის წყალი"

,,მიმწოდებელი"
შპს,,ჯი-თი მოტორსი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

06 ნოემბერი, 2018 წელი

`სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირები ხელის მოწერით ადასტურებენ, შპს ,,ბათუმის წყალ"-ზე რიცხული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში სადაც მომწოდებლად ფიქსირდება შპს ,,ჯი თი მოტორსი" მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს ,,ბათუმის წყალი"-ს
გენერალური დირექტორი მარინე გვიანიძე